პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დასკვნა

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თავმჯდომარე: **მადონა გოგობერიშვილი** - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი.

წევრი: დალი კალაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი.

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

_____

_____ წ. თბილისი, 2018

დაწესებულების სახელწოდება: **საქართველოს** საპატრიარქოს **ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრი**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო**, არაკომერციული **იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო **კოდი: 204556284**
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო **დაწესებულება**

■ პროფესიული კოლეჯი

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის **ექსპერტთა ჯგუფის** თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის **ექსპერტთა ჯგუფის** წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 19 ოქტომბრის N952 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - მადონა გოგობერიშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე) და დალი კალაძე (ჯგუფის წევრი) 2018 წლის 24 და 25 ოქტომბერს გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებულ მოწყალების ცენტრში.

ვიზიტის მიზანი იყო ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის მიერ (ს/კ 204556284) ავტორიზაციის პირობების შესრულების, კერძოდ, დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-6, მე-7-ე და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმება.(გეგმიური მონიტორინგი)

ვიზიტი განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად (დანართი 1). პირველ დღეს (24.10.2018) შედგა შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებთან, შესწავლილ იქნა აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლელო პროგრამასთან აფილირირებული დამატებითი შიდა მარეგულირებელი აქტები, გადამოწმდა დაწესებულების მიერ მათი შესრულების მართებულობა, განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლების ინტერვიურება, გადამოწმდა ადამიანური სტანდარტის კუთხით (პროგრამის განმახორციელებლი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები, ხარისხის მართვის დოკუმენტაცია (მექანიზმები და პრაქტიკაში გამოყენება), ბიბლიოთეკა, სასწავლო რესურსები და ვებ გვერდი და სხვა. მეორე დღეს (25.10.2018) დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადამოწმდა დოკუმენტაცია მატერიალური სტანდარტის კუთხით, პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული რეგულაციები და მათი გამოყენების პრაქტიკა, რეესტრი (evet.emis.ge), განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე - ჰოსპისში, შედგა ინტერვიუ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან და სხვა.

ვიზიტის ბოლოს შედგა შემაჯამებელი შეხვედრა ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის წარმომადგენლებს შორის. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი დაასრულა 2018 წლის 25 ოქტომბერს.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების	სტანდარტი დაკმაყოფილებული	სტანდარტი არაა დაკმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018 წ.

		შესაბამისი მუხლი / პუნქტი	ა	ყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი 6	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	მუხლი 6 / პუნქტი ა)	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც	მუხლი 6 / პუნქტი ბ)	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018 წ.

	მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;			
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	მუხლი 6 / პუნქტი გ)	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	მუხლი 6 / პუნქტი დ)	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	მუხლი 6 / პუნქტი ე)	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018 წ.

	სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად			
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7	■	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	მუხლი 7 / პუნქტი გ)	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018 წ.

2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღ მდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული	მუხლი 7 / პუნქტი თ)	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

	იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8	□	■
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	მუხლი 8 / პუნქტი ა)	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	მუხლი 8 / პუნქტი ბ)	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	მუხლი 8 / პუნქტი გ)	□	■

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018 წ.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილებად განვიხილავთ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრში დამკვიდრებულ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც მომავალი სტუდენტები შეირჩევიან დაწესებულების მიერ დადგენილი კონკურსის წესით: კერძოდ, მოწყალების ცენტრს პროგრამაზე ჩარიცხვამდე აპლიკანტები მიჰყავს პრაქტიკის ობიექტზე ორი კვირით და აცნობს მათ არჩეული პროფესიის სპეციფიკას. შემდგომ აპლიკანტის შესაძლებლობებს ე.წ. „მოსინჯვის" შედეგების მიხედვით, აფასებს შესაბამისი კომისია და ხდება არჩეულ პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სტუდენტისთვის სწავლა უფასოა. მათ განათლებაზე ზრუნავს საქართველოს საპატრიარქო, ხოლო პაციენტების მოვლის თანხებს მოიძიებს თავად დაწესებულება სხვადასხვა პროექტებით და დონორი ორგანიზაციების ჩართულობით. ფაქტიურად ორგანიზაცია, თავისი საქველმოქმედო მიზნების განსახორციელებლად, ზრდის საჭირო კადრებს და, როგორც სასწავლებლის წარმომადგენლებმა განმარტეს, წარმატებულ სტუდენტებს არა მარტო სწავლის, არამედ ტრანსპორტირებისა და სახელმძღვანელოების თანხებსაც უხდიან.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი 3 - ადამიანური რესურსი

ქვესტანდარტი 3. 3.

- ✓ დაწესებულების მიერ თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული საქართველოს შრომის კოდექსით სავალდებულო არსებითი პირობები

VI. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამები

ქვესტანდარტი 1. 2.

- ✓ გამომდინარე იქიდან, რომ კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სავიზიტო ბარათს, იგი უნდა განახლდეს ყოველწლიურად და განთავსდეს ვებგვერდზე,
- ✓ კატალოგი მოიცავს ზოგად ინფორმაციას დაწესებულების საქმიანობის შესახებ, არ არის სამართლებრივი დოკუმენტი და, შესაბამისად, არ სჭირდება დამტკიცება.

ქვესტანდარტი 1. 4.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებდეს დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების გაცნობას;
- ✓ დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ წესებში გაწეროს არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები;
- ✓ დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ წესებში გაწეროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღირების გზით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N147 ბრძანების შესაბამისად;
- ✓ დაწესებულებამ გამიჯნოს რეგულაციები პროფესიული სტუდენტისა და თავისუფალი მსმენელისთვის.

<u>ქვესტანდარტი 1. 6.</u>

- ✓ დაწესებულებამ შეიმუშავოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები „დაგეგმე განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე" მოდელის საფუძველზე;

სტანდარტი 2- მატერიალური რესურსი

<u>ქვესტანდარტი 2. 5.</u>

- ✓ დაწესებულებამ დაახარისხოს დოკუმენტები და შესაბამისად ცალ-ცალკე აწარმოოს აღრიცხვის ჟურნალები;

<u>ქვესტანდარტი 2. 9.</u>

- ✓ დაწესებულებამ შეიმუშავოს სამოქმედო გეგმები შესრულების ვადების, ინდიკატორებისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მითითებით.

სტანდარტი 3 - ადამიანური რესურსი

<u>ქვესტანდარტი 3. 3.</u>

- ✓ დაწესებულებამ შეიმუშავოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესი და პროცედურები.

II. დაწესებულების მისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018 წ.

"ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის მისია მდგომარეობს სულიერად, მორალურად და ცოდნით კარგად მომზადებული, ავადმყოფის მოვლის საკითხებში გათვითცნობიერებული, სამედიცინოს სფეროს კადრის მომზადებასა და სიკვდილისა და სიცოცხლის ზღვარზე მდგომი იმ ადამიანების ცხოვრების ხარისხის მაქსიმალურ უზრუნველყოფაში, რომლებიც ინკურაბელურ ავადმყოფთა ჯგუფს განეკუთვნებიან"

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრს პროფესიული საგანმანათალებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N 39 (30/08/2014) გადაწყვეტილებით (ცვლილება 2018 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება N 106) მინიჭებული აქვს მხოლოდ ერთი, მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება - „ექთნის თანაშემწე".

აღნიშნული პროგრამა არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შედგენილია შესაბამისი პროფესიული სტანდარტის მიხედვით და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, დირექტორის 2014 წლის 10 ივნისის N 009 ბრძანებით. მასში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროგრამის მოცულობა კრედიტებსა და საათებში, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების ენა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების რუქა, სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

გეგმა, სწავლების მეთოდები და პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა. პროგრამაში ასევე მოცემულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ. კერძოდ, პროგრამის განხორციელების პირველ სასწავლო წელს ისწავლება საბაზისო დისციპლინები, რომლებიც წარმოადგენენ ლოგიკურ წინაპირობას მეორე სასწავლო წელს განსახორციელებელი კლინიკური დისციპლინებისთვის. ესენია: ადამიანის ნორმალური ანატომია, ფიზიოლოგია და პათფიზიოლოგია, უცხო ენა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მენტალური ჯანმრთელობა (ფსიქოლოგია), ავადმყოფის მოვლის საფუძვლები, მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ეპიდემიოლოგია, ფარმაკოლოგია და ბიოეთიკა.

სწავლება ხორციელდება პარელელური რეჟიმით . მეორე სასწავლო წელს დაწესებულება სწავლებას ახორციელებს ე.წ. „კურაციული" სწავლების მეთოდით, რაც გულისხმობს თითოეული დისციპლინის მონოციკლურ სწავლებას - დისციპლინის სწავლებას კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. სწავლების ეს მეთოდი მიღებულია კლინიკური დისციპლინების სასწავლებლად: პალიატიური მოვლის საქმე, თერაპიული პაციენტის მოვლის საქმე, ბავშვთა ასაკის პაციენტთა მოვლის საქმე, ნევროლოგიური პაციენტის მოვლის საქმე, ქირურგიული პაციენტის მოვლის საქმე და პირველადი გადაუდებელი დახმარება.

წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს 94 კრედიტს (2350 საათს). 90 კრედიტი განსაზღვრულია პროფესიული სტანდარტის მიხედვით და 4 კრედიტი დამატებით დათმობილი აქვს მართლმადიდებლურ სწავლებას - „კატეხიზმოს" - ძველ და ახალ აღთქმას. პროგრამის 60% (1410სთ) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო 40% (940 სთ) პრაქტიკულ კომპონენტს - სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. სწავლების ხანგრძლივობაა 18 თვე.

პროგრამას თან ერთვის სასწავლო კურსების სილაბუსები, რომელშიც მოცემულია: სასწავლო კურსის დასახელება, სწავლების საფეხური, პროფესიული პროგრამის სახელწოდება, სასწავლო კურსის ხანგრძლივობა, მოცულობა კრედიტებსა და საათებში, პროფესიული მასწავლებლის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია, სასწავლო კურსის ფორმატი, დაშვების წინაპირობა, მიზანი, სასწავლო კურსის შენაარსი, პროფესიული სტუდენტის მიღწევათა შეფასება, ლიტერატურა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის თემატიკა კვირების მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები იმგვარადაა შედგენილი, რომ თეორიულ მეცადინეობას მოსდევს **პრაქტიკული** მეცადინეობა სიმულაციურ გარემოში (რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და სასწავლო უნივერსალური მანეკენებით) და **სასწავლო პრაქტიკა** რეალურ **გარემოში** - ჰოსპისში, **რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.** ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდით შედგენილი სილაბუსი ასოცირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მოდულთან / შედეგთან, რომელშიც ინტეგრირებულია შესრულების თეორიული და პრაქტიკული კრიტერიუმები.

ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულებაში არსებული სიმულაციური გარემო. რომელიც

გამოიყენება პრატიკული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. დაწესებულების პროფესიულ მასწავლებლებთან (3 პირი) გასუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იცნობს პროგრამას, აქვს სწავლებისა და შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

გამოცდილება. პროგრამაში მოცემული სტუდენტთა შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“

იმის გამო, რომ „მოწყალების ცენტრს“ 2016 წლიდან აღარ განუხორციელებია ექთნის თანაშემწის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება, ხოლო მიმდინარე პროფესიულ სტუდენტებს (4 სტუდენტი) პირადი განცხადების საფუძველზე 2016 წელს შეუწყდათ სტატუსი, დაწესებულებას ამ ეტაპზე აქტიური სტუდენტი არ ჰყავს.

საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული სწავლებისთვის ძირითადად იყენებს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებულ სამედიცინო მომსახურების ცენტრს -„ჰოსპისს“, რომელიც მდებარეობს სასწავლო კორპუსის მიმდებარედ (20-30 მეტრში). კოლეჯის სტუდენტები ჰოსპისში გადიან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას და ხშირად იქვე საქმდებიან. ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი კოლეჯის ფერისცვალების დედათა მონასტერის ჰოსპისში, გაესაუბრენ კურსდამთავრებულებს და პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს. კურსდამთავრებულთა გამოკითხვით გაირკვა, რომ ისინი დასაქმებულნი არიან როგორც ჰოსპისში, ასევე ბინაზე მოვლის სამსახურში. მათ დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ შეიძინეს ზუსტად ის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ პირთათვის (პალიატიური/უიმედო, საწოლს მოჯაჭვული სხვადასხვა ასაკის ავადმყოფები) რომელთაც ისინი უვლიან.

გარდა ამისა, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას უვადოდ აქვს გაფორმებული მემორანდუმები შემდეგ ობიექტებთან:

1. სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“ (2013 წლის 10 დეკემბერი);
2. სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“(2013 წლის 9 დეკემბერი);
3. შპს „წმინდა მიქაელ მთვარანგელოზია სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“(2014 წლის 9 ოქტომბერი);
4. შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“(2015წლის 13 მარტი);

<u>დასტურდება:</u>

- ✓ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის „ დირექტორის 2014 წლის 10 ივნისის N 009 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტანდარტზე დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - ექთნის თანაშემწე;
- ✓ პროფესიული სტანდარტით „ექთნის თანაშენწე“(დამტკიცებული სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 27 ივნისის N478 ბრძანებით.)
- ✓ www.evet.emis.ge;
- ✓ მემორანდუმებით პრაქტიკის ობიქტებთან;
- ✓ პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

✓ მასწავლებლეთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუს შედეგებით;

<u>შეფასება</u>:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის" პროფესიული კოლეჯის კატალოგი, რომელიც თარიღდება 2013 წლით, თუმცა შემდეგ შეტანილია ცვლილება და დამტკიცებულია 2014 წლის 03 აპრილის N29 ბრძანებით. კატალოგში გაწერილია კოლეჯის მისია, სასწავლებლის პრიორიტეტი, საკონტაქტო ინფორმაცია და საგანმანათლებლო პროგრამის სრული აღწერილობა: პროგრამის სახელწოდება, პროფესიული განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კრედიტებისა და შეფასების წესი, პროგრამის მიზანი და სწავლების შედეგი. ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ სასწავლებელს კატალოგი არ განუახლებია, დაწესებულების პასუხისმგებელმა პირებმა ეს ფაქტი იმით ახსნეს, რომ კოლეჯი სამომავლოდ საერთოდ აღარ აპირებს აღნიშნული პროგრამის განხორციელებას, არც არანაირი ცვლილება არ შეუტანია პროგრამაში ავტორიზაციის შემდგომ და, უფრო მეტიც, 2016 წლიდან აღნიშნულ ავტორიზებულ პროგრამაზე საერთოდ არ განხორციელებულა სტუდენტების მიღება.
ვებ გვერდზე კატალოგი არ არის განთავსებული, თუმცა ვიზიტის პერიოდში კატალოგი წარმოდგენილი იყო მატერიალური სახით.

<u>რეკომენდაცია:</u>

✓ გამომდინარე იქიდან, რომ კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სავიზიტო ბარათს, იგი უნდა განახლდეს ყოველწლიურად და განთავსდეს ვებგვერზე.
✓ კატალოგი მოიცავს ზოგად ინფორმაციას დაწესებულების საქმიანობის შესახებ, არ არის სამართლებრივი დოკუმენტი და, შესაბამისად, არ სჭირდება დამტკიცება.

<u>დასტურდება</u>:

✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;

<u>შეფასება:</u>

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018 წ.

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი „ექთნის თანაშემწის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს (090551)

დასტურდება :

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით" ექთნის თანაშემწე";
- ✓ პროფესიული სტანდარტით (09551)
- ✓ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი(პრიფესიული სპეციალიზაცია „ექთნის თანაშემწე" 09551);

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის დირექტორის N 013 (24. 12. 2012) და N015 (26. 12. 2012) ბრძანებებით დამტკიცებული დოკუმენტები - „საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის პროფესიულ კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი და პროცედურები" და „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი", რომლებშიც განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები, ასევე სტუდენტის მობილობა და მიღებული განათლების აღიარება. აღსანიშნავია სტუდენტის ჩარიცხვის წესის მეოთხე მუხლის ჩანაწერი, სადაც განმარტებულია, რომ სტუდენტები შეირჩევიან კონკურსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

წესით და კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც აფასებს აპლიკანტს პროგრამაზე ჩარიცხვამდე ორკვირიანი პრაქტიკული ე.წ. „მოსინჯვის" შედეგების მიხედვით.

„მოწყალების ცენტრის" დადგენილი რეგულაციების შესრულების გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ განხორციელდა პასუხისმგებელ პირების ინტერვიურება და გადამოწმდა რამდენიმე სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებიდან კვალიფიკაციის მინიჭებამდე შექმნილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ **დაწესებულება იცავს მის მიერ გაწერილ შიდა რეგულაციას.** თუმცა კოლეჯის მიერ შემუშავებული შინაგანაწესისა და სხვა დოკუმენტზე გაცნობა არ დასტურდება პროფესიული სტუდენტის ხელმოწერით. ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, მათი გაცნობა სტუდენტებისთვის ახდება ზეპირსიტყვიერად. ასევე, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა და მობილობით სტუდენტის მიღება დაწესებულებას არ განუხორციელებია. კოლეჯი აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს - evet.emis.ge, სადაც სწორად აქვს შეტანილი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული სტუდენტების (მათ შორის: სტატუსშეწყვეტილის, კურსდამთავრეულების), პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ. დაწესებულებას ზემოთხსენებულ წესში არ აქვს გაწერილი უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული, ასევე არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურა, თუმცა პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ მსგავსი შემთხვევა კოლეჯში პრაქტიკულად არ დაფიქსირებულა.

პროფესიულ სტუდენტთა შინაგანაწესში მე-8 მუხლში აღრეულია პროფესიული სტუდენტისა და თავისუფალი მსმენელის უფლებები, რაც არასწორად მიგვაჩნია. ზოგადად, სასურველია პროფესიული სტუდენტის სწავლებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები გაიმიჯნოს სხვა ტიპის სასწავლო რეგულაციებისგან.

რეკომენდაცია:

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებდეს დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების გაცნობას;
- ✓ დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ წესებში გაწეროს არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები;
- ✓ დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ წსესებში გაწეროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღირების გზით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N147 ბრძანების შესაბამისად;
- ✓ დაწესებულებამ გამიჯნოს რეგულაციები პროფესიული სტუდენტისა და თავისუფალი მსმენელისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

<u>დასტურდება:</u>

- ✓ დოკუმენტით: „საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის პროფესიულ კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი და პროცედურები";
- ✓ დოკუმენტით: „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი";
- ✓ ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის სტუდენტთა შინაგანაწესით;
- ✓ პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით;
- ✓ www.evet.emis.ge
- ✓ ინტერვიუს შედეგები

<u>შეფასება:</u>

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი" რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.
საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი „კერძო კოლეჯების ასოციაციასთან (2013, 28 ივნისი);"

<u>დასტურდება</u>

- ✓ დოკუმენტით: „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018 წ.

და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი";

- ✓ კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმით.

<u>შეფასება:</u>

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- □ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც სასწავლებელი იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, კოლეჯში შემუშავებულია კითხვარები და ტარდება როგორც პროფესიული სტუდენტის, ასევე პროფესიული მასწავლებლისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, რომლის შედეგებიც ზეპირსიტყვიერად განიხილება დაწესებულების პასუხისმგებელ პირებთან და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს განსახორციელებელ აქტივობებს. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, კითხვარებში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით კოლეჯმა შეიძინა სხვადასხვა დასახელების სასწავლო ინვენტარი: მულაჟი, უკაბელო ჯანგბადის აპარატი, მონიტორი და ა.შ., რაც არ არის მოთხოვნილი პროფესიული სტანდარტით, თუმცა სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია

<u>აქვე უნდა აღუნიშნოს, რომ დაწესებულაებას არ აქვს ცალკე შემუშავებული წესი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების შესახებ, სადაც აღწერილი იქნებოდა მის მიერ ჩატარებული აქტივობები სასწავლებელში სწავლების ხარისხის განვითარების კუთხით.,</u>

<u>რეკომენდაცია:</u>

- ✓ დაწესებულებამ შეიმუშავოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე" მოდელის საფუძველზე;

<u>დასტურდება</u>

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ინსტრუქციით, (ბრძ.N011, 30.12.2011);
- ✓ შევსებული კითხვარებით; და ინტერვიუს შედეგებით.

<u>შეფასება:</u>

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018 წ.

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის მფლობელობაშია ქ. თბილისში, ფერისცვალების ქ. #7 მდებარე შენობა, რომლის საერთო ფართია 248,81 კვ.მ. ნახევარსარდაფის ჩათვლით , ხოლო სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება 175 კვ.მ. (ნაგებობა #10);
ასევე პრაქტიკული სწავლებისთვის გამოიყენება მიმდებარედ არსებული ერთსართულიანი ჰოსპისის შენობა, მის: ურბნისის ქ. N7; საერთო ფართი 120,53 კვ. მ.; (ნაგებობა #6) მიწების საკადასტრო კოდებია: #[redacted] და [redacted];
ორივე შენობა-ნაგებობა დაწესებულებას აქვს მფლობელობაში თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე. გამომდინარე იქიდან, რომ ნაგებობა N 10 გადაცემულია საპატრიარქოსგან თხოვების ხელშეკრულებით, ხოლო ნაგებობა N6 არის კერძო პირის საკუთრება, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა თხოვების დამადასტურებელი დოკუმენტი. დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელშიც დასტურდება N6 შენობისა და მიმდებარე მიწის ნაკვეთის თხოვების ფაქტი.

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო მიზნით გამოიყენება შენობა - ნაგებობა N10-ის მეორე სართულზე განთავსებული 2 ოთახი, (თითოეულის ფართია 25,02 კვ,მ) ოთახში განლაგებული აღჭურვილობის მიხედვით, შესაძლებელია სწავლების განხორციელება ერთდროულად 10 პროფესიული სტუდენტისთვის ერთ ცვლაში, სულ ორ ცვლაში სასწავლებელს შეუძლია მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი, რისი უფლებაც აქვს მინიჭებული დაწესებულებას ავტორიზაციით. თეორიული სწავლების ოთახში განლაგებულია ორი არასტანდარტული მაგიდა, სავარაუდოდ 10 პროფესიული სტუდენტისთვის. მეორე ოთახში განთავსებულია სამედიცინო ინვენტარი სიმულაციური სწავლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული სტანდარტით შედგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სავალდებულო სამედიცინო აღჭურვილობა განსაზღვრული არ არის, თუმცა კოლეჯს, აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, შეძენილი აქვს უნივერსალური მანიკენი, ფუნქციური საწოლები (2 ერთეული) და ავადმყოფის მოსავლელად საჭირო ინვენტარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

ამ ეტაპზე კოლეჯში აღნიშნულ პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს, მხოლოდ პროგრამის თემატიკის შესაბამისად შემუშავებულ მოკლევადიან სასწავლო კურსებზე ხორციელდება სწავლება.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. თბილისი, ურბნისის ქ. #7 ,	248,81.
	ქ. თბილისი, ფერისცვალების ქ. #7	120

<u>დასტურდება:</u>

- ✓ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან:
- ✓ ხელშეკრულებებით ფართის თხოვების შესახებ:
- ✓ შენობის შიდა აზომვითი ნახაზებით;
- ✓ შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

<u>შეფასება:</u>

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები
სასწავლო შენობაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ორი სველი წერტილი, ბუნებრივი განათება და ცენტრალური გათბობა. დამონტაჟებულია კონდიციონერები გაგრილების მიზნით.

<u>დასტურდება:</u>

- ✓ ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;

<u>შეფასება:</u>

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებული საბიბლიოთეკო ფონდი წარმოდგენილია, როგორც მატერიალური სახით (ბეჭდურ კატალოგში), ასევე ვებ-გვერდზე განთავსებულ ელექტრონულ საძიებო სისტემაში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში ინახება საბიბლიოთეკო წესეით დამუსავებული მკითხველთა აღრიცხვის ჟურნალი და საინვენტარო წიგნი.
ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 708 ეკზემპლარს, ხოლო ელ.მატარებლები–8 ეგზემპლარს. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და კომაპქტდისკები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული 1 კომპიუტერი და ერთი კომბინირებული ასლგადამღები/პრინტერი/სკანერი. ბიბლიოთეკა ჩართულია Open biblio-ში.
ექსპერტების მიერ, (შერჩევის პრინციპით), გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და დადასტურდა მათი შესაბამისობა.
ბიბლიოთეკას ემსახურება კვალიფიციური ბიბლიოთეკარი.

<u>დასტურდება:</u>

- ✓ ბიბლიოთეკის დებულებით;
- ✓ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების შესყიდვის დოკუმენტებით და ნაჩუქარი წიგნების მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ✓ საინვენტარო წიგნით;
- ✓ ბიბლიოთეკარის პირადი საქმით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;

<u>შეფასება:</u>

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში და დაწესებულების მართვაში. უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლებლად პროფესიული სტუდენტებისთვის ცალკე ოთახი არ არის გამოყოფილი. სტუდენტთათვის განკუთვნილი კომპიუტერები 8 (კომპლექტი) განლაგებულია სასწავლო აუდიტორიაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

ადმინისტრაციისთვის და მასწავლებელებისთვის დამატებით განკუთვნილია 3 (კომპლექტი) კომპიუტერი, 2 სასწავლო აუდიტორია აღჭურვილია ვიდეოდემონსტრირების ციფრული საშუალებებით და მონიტორით. ადმინისტრაციის საქმიანობისთვის გამოიყენება 1 პრინტერი. სასწავლებელს უწყვეტი ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფს კომპანია სილქნეტი.

<u>დასტურდება:</u>

- ✓ კომპიუტერებისა და ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ✓ კომპიუტერების ჩუქების ხელშეკრულებებით(01.11.2008);
- ✓ ინტერნეტ მომსახურების შესახებ სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ✓ ხელშეკრულებით დომენით და ჰოსტინგით სარგებლობის შესახებ;
- ✓ მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციით,;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

<u>შეფასება:</u>

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საექთნო სასწავლებლის „ საქმისწარმოების ინსტრუქცია", რომლის შესაბამისადაც მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების რეგისტრაცია და შენახვა/აღრიცხვა; დაწესებულებაში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები, შემოსული და გასული წერილები და ხელშეკრულებები რეგისტრაციაში ტარდება საქმისწარმოების წესის შესაბამისად დამუშავებულ (აკინძულ და დალუქულ) სარეგისტრაციო ჟურნალებში, <u>თუმცა, ჟურნალებში ერთად არის მოთავსებული სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები.</u> ადმინისტრაციის წარმომდგენლებმა ეს გარემოება ახსნეს დოკუმენტთა (სამართლებრივი აქტების, შემოსულიდა გასული კორესპონდენციების)მცირე რაოდენობით. ხელშეკრულებების ჟურნალი ცალკე იწარმოება.

<u>რეკომენდაცია:</u>

- ✓ დაწესებულებამ დაახარისხოს დოკუმენტები და შესაბამისად ცალ-ცალკე აწარმოოს აღრიცხვის ჟურნალები;

<u>დასტურდება:</u>

- ✓ ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის საექთნო სასწავლებლის საქმისწარმოების ინსტრუქციით;
- ✓ შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალებით;
- ✓ ბრძანებების და ხელშეკრულებების რეგისტრაციის წიგნებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებთ.

<u>შეფასება:</u>

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018 წ.

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ცენტრს შემუშავებული აქვს პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფისა და წესრიგის დაცვის მექანიზმი: ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია N 009 (05.06.2013) ბრძანებით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა", რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეფექტურ მიმართულებებს და ღონისძიებებს.
საევაკუაციო გეგმა გამოკრულია შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას, ასევე დაწესებულებას აქვს ვადიანი, დამუხტული ცეცხლმაქრები და შესაბამისი მოწყობილობები, ცენტრში გამოყოფილია სამედიცინო დახმარების ოთახი, შესაბამისი ინვენტარითა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი მედიკამენტებით საჭიროების შემთხვევაში პირველად სამედიცინო დახმარების ახორციელებს ჰოსპისის პროფესიონალი სამედიცინო პერსონალი.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის" პროფესიული კოლეჯის შინაგანაწესი, სადაც გაწერილია სასწავლებელში არსებული წესრიგის დაცვის მექანიზმები, კერძოდ, საგანმანათლებლო პროცესში შრომისა და დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფის, კოლეჯსა და კოლეჯში დასაქმებულებს შორის შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების, დასაქმებულთათვის საქმიანობისას უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნის, დასაქმებულთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვისა და კოლეჯში დამსაქმებლების მიერ ეთიკური ნორმების დაცვის საკითხები.

<u>დასტურდება:</u>

- ✓ ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის" პროფესიული კოლეჯის შინაგანაწესი;
- ✓ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებით და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით;
- ✓ თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმით
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით„

<u>შეფასება:</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მოწყალების ცენტრი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის იყენებს ორ მიმდებარე შენობას, რომლებიც საკარაუდოდ 20 მეტრით არიან ერთმანეთისგან დაშორებული. ორივე შენობას აქვს მოწყობილი შესასვლელი პანდუსი. სასწავლო კორპუსს აქვს ორი შესასვლელი კარი, რომელთაგან ერთ-ერთის სიგანე სრულიად საკმარისია ეტლით მოსარგებლისთვის. ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში (ჯგუფში შშმ პირების არსებობის შემთხვევაში) თეორიული სწავლებისთვის სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე შეიძლება გამოიყოს ოთახი, რომელიც მეორე სართულზე არსებული სასწავლო ფართის იდენტურია და ამჟამად, საკომფერენციო (სტუმრების ოთახის) ოთახის დატვირთვა აქვს.
რაც შეეხება მეორე კორპუსს, ჰოსპისს, სადაც მიმდინარეობს პრაქტიკული მეცადინეობები სრულად მოწყობილი და ადაპტირებულია - აქვს პანდუსი და სველი წერტილები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; ორივე კორპუსში არის ე.წ. მოძრავი სკამები/ეტლები, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში იყენებს საგანგებოდ გამოყოფილი დამხმარე პერსონალი შშმ პირების შენობაში გადასაადგილებლად. ასევე დაწესებულებას, შეზღუდული შესაძლებლობების და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტდენტების მომსახურების მიზნით, 22. 05. 2013 წლის N 007 ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს შესაბამისი დამხმარე პირი.

<u>დასტურდება :</u>

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით:
- ✓ N 007 ბრძანებით (22.05.2013) – „პროგრამაზე სწავლების მიზნით შეზღუდული შესაძლებლობების და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის შესაბამისი პირის გამოყოფის შესახებ";

<u>**შეფასება:**</u>

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მოწყალების ცენტრის საიტის მისამართია www.mercycenter.ge. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია: დედათა მონასტრის, კერძოდ, მოწყალების ცენტრის ისტორია, მისია, ხედვა, მართვა და სტრუქტურა, პროფესიული მასწავლებლები, შინაგანაწესი, ბიბლიოთეკის დებულება, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ფოტოგალერია, სიახლეები და სხვა.

სასწავლებლის ვებგვერდზე სიახლეებში განთავსებული ინფორმაცია თარიღდება 2014 – 2016 წლებით. დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია მხოლოდ „ექთნის თანაშემწის" პროგრამის სასწავლო გეგმა და არა სრული პროგრამა. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ 2016 წლიდან დაწესებულება აღარ ახორციელებს სწავლებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ექთნის თანაშემწე", არ ჰყავს აქტიური სტუდენტი, არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და არ აპირებს აღნიშნულ პროგრამაზე მიღების გამოცხადებას და მიზანშეწონილად არ მიაჩნია ვებ გვერდზე პროგრამის განთავსება.

ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, ზემოთ აღნიშნული რეალობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე დაწესებულება ასევე მიზანშეწონილად არ თვლის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის განახლებას, რადგან გეგმავს ვებ გვერდის სრულად შეცვლას მომავალი რეავტორიზაციის მიზნებისთვის.

დასტურდება:

- ✓ დაწესებულების ვებ გვერდით www mercusenter. ge;
- ✓ დომენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით;
- ✓ ჰოსტინგის ფლობის ხელშეკრულებათ.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მის ირიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- ✓ მოწყალების ცენტრს შემუშავებული აქვს დაწესებულების საქმიანობის გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების და სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

ბაზების ეფექტურად გამოყენების საშუალებას. სამოქმედო გეგმებში მოცემული არ არის განსახორციელებელი აქტივობების შესრულების ვადები და ინდიკატორები, არ არის განსაზღვრული დასახული გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტუქტურული ერთეული, რაც მნიშვნელოვანია ნებისმიერი გეგმთ მიღწეული შედეგების შეფასებისთვის.

<u>რეკომენდაცია:</u>

✓ დაწესებულებამ შეიმუშავოს სამოქმედო გეგმები შესრულების ვადების, ინდიკატორებისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მითითებით.

<u>დასტურდება:</u>

✓ ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის" 2013-2019 წლების სტრატეგიით;

✓ ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის 2017-18 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;

<u>შეფასება::</u>

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის დირექტორის 2014 წლის 12 ივნისის N011 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის „ პროფესიულ კოლეჯში ყველა თანამშრომლის უფლებებისა და მოვალეობის განმსაზღვრელი თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომლის თანახმად დანიშნულია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. აღნიშნულ ინსტრუქციაში გაწერილია, პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით დასტურდება, რომ ისინი შერჩეული არიან დაწესებულებაში მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით და მათი კვლიფიკაცია და/ან პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

<u>დასტურდება:</u>

✓ ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის „ პროფესიულ კოლეჯში ყველა თანამშრომლის უფლებებისა და მოვალეობის განმსაზღვრელი თანამდებობრივი ინსტრუქციით;

✓ პერსონალის პირადი საქმეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

<u>შეფასება:</u>

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდებოდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ,</u> რაც ნათლად ჩანს პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შეწავლით. მათში წარმოდგენილია: გამცხადება, განათლების და/ან შესაბამის სფეროში პრაქტიკული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ხოლო ზოგ შემთვევაში ამონაწერი შრომის წიგნაკიდან. დაწესებულებას დღეის მდგომარეობით არ ჰყავს სტუდენტი. პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა არის 15, შესაბამისად თანაფარდობა შეადგენს 0/15.

<u>დასტურდება:</u>

- ✓ განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ✓ საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ.

<u>შეფასება:</u>

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროგრამის განმახორციელებელ პერსონალი აყვანილი ჰყავს 2014 წელს, <u>პერსონალის შერჩევა განხორციელებულია 2014 წელს მოქმედი კანონმდებლობის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018 წ.

მოთხოვნების შესაბამისად, რაც თავისთავად არ ეწინააღმდეგება პროფესიული განათლების შესახებ 2018 წელს მიღებულ კანონს.
პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №120/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. თანამშრომლებთან გაფორმებულია უვადო ხელშეკრულებები, რომელშიც დაცულია იმ პერიოდისთვის მოქმედი შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები. თუმცა არ არის შეტანილი ცვლილება და არ არის გათვალისწინებული საქართველოს დღეს მოქმედი შრომის კოდექსით სავალდებულო არსებითი პირობები, **როგორიცაა დასაქმებულის პოზიცია, ანაზღაურების პირობები,ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურება, შვებულება და სხვა,** შესაბამისად, დაწესებულების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები არ შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სასწავლებელში ხელშეკრულებების განახლების საჭიროების საკითხი არ დამდგარა, რადგან ამ ეტაპზე პროგრამაზე სწავლება არ ხორციელდება
რაც შეეხება დაწესებულების მიერ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის პირობებს, ადმინისტრაციის პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა ხდება კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით, აპლიკანტის პირადი მონაცემებითა და გასაუბრებით., თუმცა, ცენტრს ცალკე გაწერილი დოკუმენტი მის მიერ რეალურად განხორციელებული საქმიანობის შესახებ არ წარმოუდგენია, ავტორიზაციის სტანდარტის სრულად დაკმაყოფილების მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესი და პროცედურები.

რეკომენდაცია:

✓ დაწესებულებამ შეიმუშავოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესი და პროცედურები.

ხარვეზი:

✓ დაწესებულების მიერ თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული საქართველოს შრომის კოდექსით სავალდებულო არსებითი პირობები

დასტურდება:

✓ პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით (ხელშეკრულებებით).

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. **პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია**

IX. **თანდართული დოკუმენტაცია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი - 2 გვ.
დანართი 2.- 13 გვერდი (1 ელ. ფაილი)

1) ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
2) ამონაწერი საჯარო რეესტიდან;
3) თანამდებობრივი ინსტრუქცია;
4) შრომითი ხელშკრულება;
5) ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის პროფესიულ სტუდენტთა შინაგანაწესი;
6) ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები;

27.11.2018.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წ.